საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/317 " 27 " ნოემბერი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის №1/225 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის №1/225 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის“:

ა) პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებზე არ ვრცელდება ამ წესის დანართის მე-4 ნაწილის, მე-5 ნაწილის პირველი, მე-2, მე-8-მე-13 პუნქტებისა და მე-7 ნაწილის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.“;

ბ) დანართის („პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა“) მე-7 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„7.4	ინფორმაცია სასამართლოთა, მათ შორის მაგისტრატ სასამართლოთა რაოდენობის, აგრეთვე გენდერული ასპექტის გათვალისწინებით სასამართლოს თავმჯდომარეთა, კოლეგიების/პალატების თავმჯდომარეთა რაოდენობისა და მოსამართლეთა საერთო რაოდენობის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი